პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
QUALITY ASSURANCE OF VOCATIONAL EDUCATION
LEPL NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელების მეთოდოლოგია

ავტორები:

ქეთევან ციხისელი
ნინო გოგლიჩიძე
მაია კალანდაძე
მანანა თურქაძე
ია გიგიბერია

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
თბილისი, 2023

სარჩევი

1. შესავალი 2

2. რა არის თანამშრომლობითი ვიზიტი 3

2.1. რატომ არის სასარგებლო თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელება და მათში მონაწილეობა? 3

3. თანამშრომლობითი ვიზიტის ფაზები 6

3.1. I ფაზა, თანამშრომლობითი ვიზიტის მომზადება 7

3.1.1. თანამშრომლობითი ვიზიტისთვის მასპინძელი დაწესებულების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია 8

3.2. II ფაზა - თანამშრომლობითი ვიზიტი მასპინძელ დაწესებულებაში 12

3.2.1. თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელების პრინციპები პროფესიული განათლების კონტექსტში 13

3.2.2. გამოკითხვის ტექნიკის გამოყენება 13

4. III ფაზა - მასპინძელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის უკუკავშირის მიწოდება 14

4.1. თანამშრომლობითი უკუკავშირის სახეები 14

4.2. უკუკავშირის დასკვნითი სესიის საფუძვლები და მოდერაცია 15

5. IV ფაზა - შემდგომი ღონისძიებები: უკუკავშირზე დაფუძნებით გაუმჯობესების ნაბიჯების განხილვა 16

6. მე-5 ფაზა - თანამშრომლობითი ვიზიტის უკუკავშირის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების დანერგვა და პროცესის მონიტორინგი 17

6.1. გაუმჯობესების პროცესის დანერგვა 17

6.2. „დაგეგმე“ - გაუმჯობესების პროცესის დაგეგმვა 17

6.3. „განახორციელე“ – განხორციელების პროცესების დანერგვა 17

6.4. „შეაფასე“ - გაუმჯობესების პროცესების მონიტორინგი და შეფასება 18

6.5. „გადახედე“ - შეფასებასა და უკუკავშირზე დამყარებული გაუმჯობესება 18

გამოყენებული ლიტერატურა 19

დანართები 20

დანართი N2 თანამშრომლობითი ვიზიტის განრიგის ფორმა 22

დანართი N3 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის დასტურის ფორმა 24

დანართი N4 უკუკავშირის ფორმა 26

1. შესავალი

„პროფესიული განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონების მიხედვით, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს აყალიბებენ და ახორციელებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების განვითარება მნიშვნელოვანია, დაწესებულების მიერ საკუთარი როლის და მისიის სწორი გააზრების ხელშეწყობისათვის, ხარისხზე ორიენტირებული კულტურისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის დანერგვისათვის. ამ მიზნით, ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისათვის მნიშვნელოვანია დაინერგოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებს შორის ვიზიტები უშუალოდ დაწესებულებების დონეზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მექანიზმად თანამშრომლობითი ვიზიტების გამოყენება გავრცელებული პრაქტიკაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნული მექანიზმის გამოყენების ეფექტიანობა დაადასტურეს პორტუგალიის, ნიდერლანდების და რუმინეთის წარმომადგენელმა ექსპერტებმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ევროპის განათლების ფონდის (ETF) წარმომადგენელთა ერთობლივ შეხვედრაზე. თანამშრომლობითი ვიზიტები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისთვის დაბეჯითებით არის რეკომენდებული ევროპის განათლების ფონდის (ETF) მიერ.

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელების მეთოდოლოგიურ ასპექტებს, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებული უკუკავშირისას ადგილობრივი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკების ცოდნა შერწყმულია სფეროში პრაქტიკულ გამოცდილებასთან და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მონაცემებთან.

თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელების პრინციპი, რომელიც ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით ხორციელდება, გულისხმობს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაბამისი ანალიზისა და უკუკავშირს მიწოდებას მათგან, ვისაც აქვს პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება და იცის მოცემული სფეროს სპეციფიკა. თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელება უნიკალური შესაძლებლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მიიღონ დეტალური და ობიექტური უკუკავშირი სანდო, მაღალკვალიფიციური და საფუძვლიანად მომზადებული კოლეგებისგან. ვიზიტების შედეგად მიღებული გამოცდილება ძალზედ სასარგებლო იქნება როგორც მასპინძელი დაწესებულების ასევე, ვიზიტში მონაწილე კოლეგა ვიზიტორი დაწესებულებებისთვის, რადგან აღნიშნული მექანიზმი აძლიერებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის.

თანამშრომლობითი ვიზიტისთვის თემებს განსაზღვრავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომ ცენტრი). ვიზიტის თემები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური უნდა იყოს და ხელს უნდა უწყობდეს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას და დაწესებულებების მიერ ხარისხიანი განათლების მიწოდებას. თანამშრომლობითი ვიზიტის მიზანს შესაძლებელია წარმოადგენდეს დაწესებულებისთვის უკუკავშირის მიწოდება სწავლის, სწავლებისა და შეფასების, ლიდერობის, მართვისა ადმინისტრირების, პერსონალის, რესურსებისა და ინფრასტურუქტურის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა ევროპის განათლების ფონდის (ETF) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს „ვიზიტის ჩატარებისა და გადამზადების სახელმძღვანელო მოკლე მიმოხილვა" მიხედვით.

2. რა არის თანამშრომლობითი ვიზიტი

თანამშრომლობითი ვიზიტი (ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით) წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გარე შეფასების ფორმას დინამიური და მამოტივირებელი პროცესის მეშვეობით, რომელიც ხორციელდება თანასწორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ და ემსახურება დაწესებულებაში სხვადასხვა მიმართულებით ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი გამოცდილების მქონე სხვა დაწესებულების მხრიდან უკუკავშირის მიღებას.

პროცედურის ძირითადი მიზანია, მიღებული უკუკავშირი ღირებული და სასარგებლო იყოს მასპინძელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის და შესაძლოა საფუძვლად დაედოს იმ საკითხების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებას, რომლებიც თანამშრომლობითი ვიზიტისთვის დაწესებულების მიერ იქნა განსაზღვრული.

2.1. რატომ არის სასარგებლო თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელება და მათში მონაწილეობა?

თანამშრომლობითი ვიზიტი განვითარებაზე ორიენტირებული პროცედურაა, რომელიც ხაზს უსვამს ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ მიდგომებსა და მასთან დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სუსტი და ძლიერი მხარეების დემონსტრირებასა და ანალიზს. თანამშრომლობითი ვიზიტების ფარგლებში ურთიერთსწავლება და თანასწორი კოლეგების შეფასება ემსახურება, როგორც თანამშრომლობითი ვიზიტის მასპინძლის, ისე ვიზიტორის განვითარებას, არსებული გამოწვევების დაძლევასა და საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას ვიზიტისთვის განსაზღვრულ თემატიკასთან დაკავშირებით.

თანამშრომლობითი ვიზიტები განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებსაც სურთ კოლეგებისაგან უკუკავშირის მიღება მათ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის ასპექტებთან დაკავშირებით.

ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით თანამშრომლობითი ვიზიტი არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს მასპინძელი დაწესებულებისათვის და ემსახურება მხოლოდ ხარისხის განვითარების საკითხებს.

თანამშრომლობითი ვიზიტში ჩართვა და მასპინძელი დაწესებულების სტატუსის მოპოვებაზე განაცხადის გაკეთება ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია დაწესებულების სურვილსა და მზაობაზე. ცენტრი თანამშრომლობითი ვიზიტებისთვის განსაზღვრავს თემებს, რომლებიც მიმართულია ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებისკენ და დაწესებულებების მიერ ხარისხიანი განათლების მიწოდებისკენ. ცენტრის მიერ განსაზღვრული ჩამონათვალისგან ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გამოვლენის შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად განსაზღვრავენ მათთვის მოცემულ თემასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებზეც სურთ უკუკავშირის მიღება.

2.2. ვინ არიან თანასწორი კოლეგები?

თანასწორი კოლეგები არიან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ ანალოგიურ გარემოში და აქვთ პროფესიული კომპეტენციები იმ საკითხებში, რომლებზეც მასპინძელ დაწესებულებას სურს უკუკავშირის მიღება. თანასწორი კოლეგებს სხვაგვარად შესაძლებელია კრიტიკული მეგობრები ვუწოდოთ, მათ უნდა ჰქონდეთ მსგავს გარემოში მუშაობის გამოცდილება და ვიზიტორ დაწესებულებაში მათ შესაძლოა ეკავოთ სხვადასხვა პოზიცია, მაგალითად: ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, მასწავლებელი, ტრენერი, კონსულტანტი, ადმინისტრაციის თანამშრომელი და ა.შ. თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ვიზიტორი დაწესებულებების წარმომადგენლებს ჰქონდეთ პროფესიული განათლების შესაბამის სფეროში მუშაობის ან/და განსახილველ საკითხთან მიმართებით შესაბამისი კომპეტენცია ან/და სწავლების ან/და შეფასების ან/და ხარისხის უზრუნველყოფის გამოცდილება.

თანამშრომლობითი ვიზიტის მასპინძელი დაწესებულება: მასპინძელი დაწესებულება გამოხმაურებას იღებს თანასწორი კოლეგებისგან თანამშრომლობითი ვიზიტის ფარგლებში განსახილველი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ. მასპინძელმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ადამიანური და ინფორმაციული რესურსების ინვესტირება. ის ასევე პასუხისმგებელია, რეაგირება მოახდინოს თანამშრომლობით უკუკავშირზე და უფლებამოსილია უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებულ აქტივობებთან და გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით აცნობოს ვიზიტორებს.

თანამშრომლობითი ვიზიტის მონაწილე თანასწორი კოლეგები: მათი ფუნქციაა კრიტიკული, მაგრამ კონსტრუქციული და მხარდამჭერი უკუკავშირის მიწოდება. თანასწორი კოლეგები წარმოადგენენ პირებს, რომლებსაც უკუკავშირის მიმღები პირებთან გათანაბრებული სტატუსი აქვთ. თანასწორმა

კოლეგებმა მასპინძელი დაწესებულება არ უნდა განიკითხონ/გააკონტროლონ. მათ უნდა ჰქონდეთ აშკარა მოტივაცია, რომ ჩაერთონ სააზროვნო პროცესში და მოიფიქრონ, თუ როგორ შეუსაბამონ მათი (ადგილობრივი) და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება დაწესებულების მიზნებსა და საჭიროებებს და შესთავაზონ რეკომენდაციები ზემოაღნიშნული პრაქტიკების გაზიარებისა და დანერგვისთვის.

მოდერატორი: თანამშრომლობითი ვიზიტის პროცესს მოდერაციას და მხარდაჭერას უწევს ცენტრი, რომლის ფუნქციაა გააანალიზოს ვიზიტის მთლიანი პროცედურა. ცენტრის ძირითადი ამოცანა იმაზე დაკვირვებაა, რამდენად ქმედითად და ეფექტურად დაინერგა თანამშრომლობითი ვიზიტების მექანიზმი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მასპინძელ დაწესებულებას თანამშრომლობითი ვიზიტის ფასილიტაციასა და კოორდინირებაში.

2.3. რატომ არის მნიშვნელოვანი თანამშრომლობით ვიზიტებში მონაწილეობა?

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები თანამშრომლობითი ვიზიტების ფარგლებში იღებენ შემდეგ სარგებელს:

- უკუკავშირით შესაძლებელია კოლეგებისაგან კონსტრუქციული, კრიტიკული უკუკავშირისა და მხარდაჭერის მიღება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით;
- შესაძლებელი ხდება გამოწვევებისა და მიღწევების ურთიერთგაზიარება;
- მხარდაჭერილია ერთობლივი სწავლა და კოლეგებისთვის საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება;
- იქმნება და ვითარდება თანამშრომლობითი ქსელები სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

3. თანამშრომლობითი ვიზიტის ფაზები

თანამშრომლობითი ვიზიტი შედგება 5 ფაზისაგან:



3.1. I ფაზა, თანამშრომლობითი ვიზიტის მომზადება

თანამშრომლობითი ვიზიტის პროცედურა იწყება მოსამზადებელი ფაზით. მასპინძელმა დაწესებულებამ თანამშრომლობითი ვიზიტისთვის მოსამზადებლად უნდა გამოყოს დრო, როგორც წესი, ორი კვირიდან - ერთ თვემდე.

ამ ფაზაში, მასპინძელი დაწესებულება გეგმავს და ორგანიზებას უწევს თანამშრომლობით ვიზიტს. თანასწორი კოლეგები სათანადოდ უნდა იყვნენ ინფორმირებულები, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით, რათა გააანალიზონ საკუთარი, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა და მოემზადონ საკუთარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად.

ცენტრის მიერ განსაზღვრული საკითხები და მიმართულებები ორიენტირებულია ხარისხის განვითარებაზე და შეიძლება განისაზღვროს ETF-ის ძირითადი სფეროებიდან და ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების კრიტერიუმებიდან.

განაცხადის გაკეთების ეტაპამდე, მასპინძელი დაწესებულების სტატუსის მოპოვების მსურველმა დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს ვიზიტისთვის შერჩეულ თემასთან დაკავშირებით თავისი გამოცდილება, ძლიერი მხარეები ან/და საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ვიზიტისთვის განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებული გამოწვევები. მასპინძელმა დაწესებულებამ



უნდა წარადგინოს საჭირო ინფორმაცია თანამშრომლობითი ვიზიტისთვის განსაზღვრული საკითხის შესახებ, ვიზიტის ფარგლებში მსჯელობისათვის.

მასპინძელმა დაწესებულებამ ვიზიტორი დაწესებულებისთვის საორიენტაციოდ უნდა წარმოადგინოს კითხვები ვიზიტის თემასთან დაკავშირებით, მის მიერ იდენტიფიცირებულ საკითხები შესახებ, რომლებზეც სურს კოლეგებისგან უკუკავშირის მიღება. ვიზიტორი დაწესებულება უფლებამოსილია საორიენტაციო კითხვებთან დაკავშირებული პასუხები, რომელიც მოიცავს დაწესებულების ან სურვილისამებრ, ეროვნულ ან/და საერთაშორისო გამოცდილებას, მასპინძელ დაწესებულებას გაუზიაროს წერილობითი ფორმით, თანამშრომლობითი ვიზიტის დაწყებამდე.

3.1.1. თანამშრომლობითი ვიზიტისთვის მასპინძელი დაწესებულების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს საჭირო ინფორმაცია თანამშრომლობით ვიზიტისთვის განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით. მასპინძელი დაწესებულება ამზადებს ანგარიშს, რომლის ფარგლებშიც მიმოიხილავს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს და განსაზღვრავს საკითხებს, რომლებზეც სურს უკუკავშირის მიღება. ანგარიშში უნდა შედიოდეს: ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ: სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა; მიზანი და მისია, მოკლე ისტორია, მსმენელთა/სტუდენტთა რაოდენობა ასევე ინფორმაცია მასპინძელ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ; მითითება იმ საკითხებზე, რომელსაც ეძღვნება თანამშრომლობითი ვიზიტი და მიზეზები, თუ რატომ მოისურვა დაწესებულებამ აღნიშნულ თემაზე თანამშრომლობითი ვიზიტისთვის მასპინძლობა; ვიზიტის საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაცია; თანასწორი კოლეგებისთვის განკუთვნილი შეკითხვები; პირველადი მოსაზრებები/იდეები თანამშრომლობითი ვიზიტის შემდეგ მიღებული უკუკავშირის გამოყენების შესახებ.

თანამშრომლობითი ვიზიტი ცენტრისა და მასპინძელი დაწესებულების შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს პირისპირ ვიზიტის საშუალებით. ვიზიტისთვის შესაძლებელია გამოიყოს არანაკლებ 2 დღე.

რეკომენდებულია თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობდეს ვიზიტორი დაწესებულების არაუმეტეს 2 წარმომადგენელი. ვიზიტორი დაწესებულება ვიზიტში ჩართვის სურვილს გამოხატავს ცენტრისთვის მიმართვის საფუძველზე. საგულისხმოა, რომ მასპინძელი დაწესებულება უზრუნველყოფს პროცესის საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ხოლო ვიზიტორი დაწესებულება თავად ფარავს თანამშრომლობითი ვიზიტისთვის წარდგენილი პირის სამივლინებო ხარჯებს. მასპინძელი დაწესებულების საჭიროებების გათვალისწინებით თანამშრომლობითი ვიზიტის განხორციელებამდე შესაძლებელია ჩატარდეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ელექტრონულ ფორმატში.

ცენტრისა და მასპინძელი დაწესებულების თანამშრომლობის საფუძველზე მზადდება თანამშრომლობითი ვიზიტის დღის წესრიგი. დღის წესრიგი უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ანგარიშით წარმოდგენილ ინფორმაციას და შესაბამის საკითხებს და დრო უნდა გამოიყოს სესიისთვის, რომლებიც ეხება ყველა მის შემადგენელ ელემენტს. დღის წესრიგით გამოიყოფა დრო: თანასწორი კოლეგებისთვის განკუთვნილი შეკითხვების განსახილველად, რომლებიც ჩამოყალიბებულია მასპინძელი დაწესებულებების მიერ; აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს დრო ვიზიტორი დაწესებულებების წარმომადგენელთა მხრიდან მასპინძელთათვის საკუთარი და სხვა დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გაცნობისთვის, უკუკავშირის მომზადებისთვის, მასპინძელ დაწესებულებასთან განხილვისთვის და საბოლოო უკუკავშირის მომზადებისთვის.

თანამშრომლობითი ვიზიტის მოსამზადებლად, თანასწორი კოლეგები უნდა გაეცნონ თანამშრომლობითი ვიზიტის მიზანსა და პროცედურას; სრულად წაიკითხონ მასპინძელი დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია; გააანალიზონ მასპინძელი დაწესებულების შეკითხვები და ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში მოიძიონ საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა ვიზიტისთვის განსაზღვრულ თემასთან დაკავშირებით. თანამშრომლობითი ვიზიტის დროს გააანალიზონ არსებული გამოცდილება და მასპინძელი დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკითხები და განიხილონ დამატებითი შეკითხვები.

თანამშრომლობითი ვიზიტის განხორციელების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებ- გვერდზე: eqe.ge. გამოქვეყნებული ინფორმაციაში ცენტრი თანამშრომლობითი ვიზიტებისთვის განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის აქტუალური და მნიშვნელოვანი არანაკლებ 3 თემის ჩამონათვალს. დაწესებულებებისთვის ყველაზე უფრო საინტერესო 2 თემის გამოვლენის მიზნით, ჩამონათვალი ხმის მიცემისთვის განთავსდება ცენტრის ვებ-გვერდზე. ხმის მიცემა იწარმოებს 5 სამუშაო დღის ვადაში. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს განსაზღვროს მისთვის ყველაზე საინტერსო არაუმეტეს ორი თემა. გამარჯვებულად გამოვლინდება ორი თემა, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებენ. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში, საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ცენტრი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს თემატიკების მიხედვით თანამშრომლობითი ვიზიტების რიგითობა. ერთი წლის განმავლობაში, მასპინძელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეთანხმებით თანამშრომლობითი ვიზიტების ფარგლებში გამოვლენილ თემებზე გაიმართება არანაკლებ ორი თანამშრომლობითი ვიზიტი. წლის განმავლობაში რიგით პირველი თანამშრომლობითი ვიზიტი გაიმართება იმ თემზე რომელიც ყველაზე მეტი ხმას დააგროვებს, ხოლო მე-2 ვიზიტი გაიმართება ხმის მიცემის პროცედურით მეორე ადგილზე გასულ თემაზე. წლის განმავლობაში ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მხოლოდ ერთხელ აქვს მასპინძელი დაწესებულების სტატუსის მოპოვების უფლება.

მასპინძელი დაწესებულების გამოსავლენად, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე peer.visit@eqe.ge 5 სამუშაო დღის ვადაში იწარმოებს განაცხადების მიღება მასპინძელი დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით გამარჯვებულად გამოვლენილი თანამშრომლობითი ვიზიტის თემის მითითებით.

მასპინძელი დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით განმცხადებელი დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას, თანამშრომლობითი ვიზიტისთვის განსაზღვრული თემის მითითებით

ცენტრი დაინტერესებულ მხარეთათვის გასაცნობად განათავსებს ცენტრის ოფიციალურ ვებ გვერდზე: eqe.ge და დაწესებულებებს აძლევს შესაძლებლობას ხმის მიცემის საშუალებით აირჩიონ მასპინძელი დაწესებულება დაწესებულებას არ აქვს საკუთარი თავისთვის ხმის მიცემის უფლება. ხმის მიცემის ეტაპზე, ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ხმის მიცემისთვის პროცედურისთვის განსაზღვრულია 5 სამუშაო დღე. თანამშრომლობითი ვიზიტის მასპინძელი დაწესებულება განისაზღვრება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება დაწესებულებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
- პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;
- გეოგრაფიული მდებარეობა.

იმ შემთხვევაში თუ თანამშრომლობითი ვიზიტის შესახებ ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით, განაცხადს გააკეთებს მხოლოდ ერთი დაწესებულება, იგი ავტომატურად განისაზღვრება მასპინძელ დაწესებულებად.

ხმის მიცემის პროცედურით გამოვლენილი მასპინძელი დაწესებულების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხმის მიცემის პროცედურის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. ამავე ვადაში, ცხადდება აღნიშნულ დაწესებულებაში თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის მსურველი ვიზიტორი დაწესებულებების რეგისტრაცია. ვიზიტორთა განაცხადების მიღება იწარმოებს რეგისტრაციის დაწყებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

თუ განსაზღვრულ ვადაში, განაცხადს არ გამოეხმაურებიან თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის მსურველები, ცენტრი უფლებამოსილია არაუმეტეს 5 სამუშაო დღით გაახანგრძლივოს თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის ვადა. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ცენტრი უფლებამოსილია თანამშრომლობითი ვიზიტის მასპინძლად განსაზღვროს ხმის მიცემის პროცედურის ფარგლებში ხმების რაოდენობით მეორე ადგილზე გასული განმცხადებელი.

ვიზიტორი დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად შესაბამისმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ამ დოკუმენტის დანართი N3-ით წარმოდგენილი, სრულყოფილად შევსებული, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის დასტურის ფორმა. ვიზიტორი დაწესებულებების შერჩევა მოხდება ვიზიტის თემატიკასთან დაკავშირებით, მათი გამოცდილების ან აღნიშნული მიმართულებით დაწესებულების მიერ დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით.

მასპინძელი დაწესებულების შერჩევის შემდეგ ვიზიტის განხორციელების ვადები და სხვა სახის ადმინისტრირების საკითხები თანხმდება მასპინძელ დაწესებულებასთან.

მასპინძელი დაწესებულების მიერ ანგარიშის სახით წარმოდგენილ ინფორმაციას, დღის წესრიგს, დაწესებულების შიდა რეგულაციებს ან რეგულაციების ბმულს ცენტრი თანასწორ კოლეგებს გაუგზავნის თანამშრომლობითი ვიზიტის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.

თანამშრომლობით ვიზიტში, ვიზიტორის სტატუსით მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებამ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე peer.visit@eqe.ge უნდა გამოაგზავნოს დასტურის ფორმა,

რომლითაც დაწესებულება ადასტურებს, რომ მის მიერ თანამშრომლობითი ვიზიტისთვის წარმოდგენილ კანდიდატს/კანდიდატებს აქვთ შესაბამისი გამოცდილება და კომპეტენციები, თანამშრომლობითი ვიზიტისთვის იდენტიფიცირებულ საკითხებთან დაკავშირებით და იცნობენ შესაბამისი მიმართულებით მასპინძელი დაწესებულების რეგულაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას.

თანამშრომლობითი ვიზიტის თემატიკიდან გამომდინარე, ცენტრი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ განსაზღვროს ცენტრის წარმომადგენელი, თანამშრომლობითი ვიზიტის დამკვირვებლად.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელებისას ეყრდნობიან ევროპის განათლების ფონდის (ETF) მიერ, განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის სფეროებს, რომელის ფარგლებშიც, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს კონკრეტული საკითხი/საკითხები თანამშრომლობითი ვიზიტისთვის, დაწესებულების მიზნების, სპეციფიკის, კონტექსტის, გამოცდილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ვიზიტისთვის შერჩეული საკითხი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ უნდა იყოს მასშტაბური და მოცულობითი, რათა შესაძლებელი იყოს ვიზიტისთვის განსაზღვრულ ვადებში აღნიშნულ საკითხზე ამომწურავი და რელევანტური უკუკავშირის მიღება. ვიზიტისთვის შერჩეული საკითხი უნდა მიემართებოდეს ETF-ის ძირითად სფეროებს, თუმცა მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების კრიტერიუმებით დარეგულირებულ საკითხებზე. მაგალითად, პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.

ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებები ETF-ის ძირითადი სფეროებიდან:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების კრიტერიუმები:

სტანდარტი 1

- **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**
- 1.1.1. პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში
- 1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა
- 1.2.2. პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

სტანდარტი 2

- **საგანმანათლებლო პროგრამები**
- 2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად
- 2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით
- 2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით
- 2.4.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას
- 2.4.2. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

სტანდარტი 3

- **პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**
- 3.1.1. პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია
- 3.2.1. პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება
- 3.2.2. პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

სტანდარტი 4

- **ადამიანური რესურსები**
- 4.1.1. პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას
- 4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას
- 4.2.1. პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

სტანდარტი 5

- **მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**
- 5.1.1. პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას
- 5.1.2. პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება
- 5.2.1. პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას
- 5.2.2. პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
- 5.2.3. პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას
- 5.3.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

3.2. II ფაზა - თანამშრომლობითი ვიზიტი მასპინძელ დაწესებულებაში

თანამშრომლობითი ვიზიტის დროს, მასპინძელი დაწესებულება ვიზიტისთვის შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგენს დაწესებულების მიდგომასა და არსებულ პრაქტიკას. თანასწორი კოლეგები დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში მოწოდებულ ინფორმაციის აზუსტებენ დაწესებულებასთან და ასევე წარუდგენენ საკუთარი გამოცდილების ან/და საერთაშორისო პრაქტიკის კვლევის შედეგებს თანამშრომლობითი ვიზიტისთვის შერჩეულ საკითხთან დაკავშირებით. თანასწორი კოლეგები სიღრმისეულად ეცნობიან მასპინძელი დაწესებულების გამოცდილებას, და

ვიზიტის საკითხთან დაკავშირებულ საკითხებს, მიღებული ინფორმაციის ანალიზის, აქტიური მოსმენისა და კითხვების დასმის გზით.

თანამშრომლობითი ვიზიტის დროს, თანასწორი კოლეგები პრეზენტაციებსა და დისკუსიებს ისმენენ, წარადგენენ და მონაწილეობენ შესაბამის დაწესებულებებში ადგილზე განხორციელებულ ვიზიტებში. ღირებული უკუკავშირის მიწოდება მოითხოვს იმ პირების აქტიურ და ეფექტურ მოსმენას, დაკვირვებას და გამოკითხვას, რომლებიც თანამშრომლობითი ვიზიტისას ინფორმაციას და საკითხებს წარადგენენ.

3.2.1. თანამშრომლობითი ვიზიტების განხორციელების პრინციპები პროფესიული განათლების კონტექსტში

თანამშრომლობითი ვიზიტები ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ ინფორმაციასა და ხარისხის უზრუნველყოფის (დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და გადახედე (PDCA)) ციკლს.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი განვითარების კულტურის დანერგვისთვის, თანამშრომლობითი ვიზიტებისას მასპინძელი და ვიზიტორი დაწესებულებები ეყრდნობიან კონფიდენციალურობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის, განსჯის გარეშე შეფასების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკასა და საჭიროებებზე ფოკუსირების, შედეგზე ორიენტირებულობის, მიმღებლობაზე, ურთიერთსწავლებასა და ახალი ცოდნის შეძენაზე დაფუძნებულ მიდგომას.

3.2.2. გამოკითხვის ტექნიკის გამოყენება

თანასწორი კოლეგები უნდა გაეცნონ გამოკითხვის ტექნიკის ძირითად წესებს. ზოგადად, კითხვები უნდა იყოს მარტივი და ადვილად გასაგები. შეძლებისდაგვარად, ერთ ჯერზე უნდა დაისვას არაუმეტეს ერთი კითხვისა[1].

თანასწორი კოლეგა, წარმატებული ინტერვიუსთვის უნდა იყენებდეს შემდეგ ცოდნასა და უნარებს:

- **საკითხის სიღრმისეული ცოდნა:** თანამშრომლობითი ვიზიტის საგანის, კერძოდ კი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა, რომელიც აღწერილია ვიზიტის მასპინძელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში;
- **საკითხზე ფოკუსირება:** დისკუსია და შეკითხვები არ უნდა გასცდეს თანამშრომლობითი ვიზიტის საგანს; არ უნდა დაისვას კითხვები ისეთ საკითხებზე, რომლებიც თანამშრომლობითი ვიზიტისთვის არაა მნიშვნელოვანი;

[1] წყარო: Guidelines for Developing Interview Questions, https://sociology.fas.harvard.edu/files/sociology/files/interview_strategies.pdf

- **კითხვების მკაფიო ფორმულირება:** ინტერვიუს დროს უნდა დაისვას მარტივი, ადვილად გასაგები და მოკლე კითხვები;
- **თავაზიანობა:** კოლეგებსა და ინტერვიუერებს უნდა დააცადონ აზრის დასრულება და მისცენ დრო მოსაფიქრებლად;
- **გულისხმიერება:** ყურადღებით და გულმოდგინედ უნდა მოისმინონ ნათქვამი, გამოავლინონ კეთილგანწყობა კოლეგებთან, მომხსენებელთან ან რესპონდენტთან ურთიერთობისას;
- **ღიაობა:** მომხსენებლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პასუხის გაცემა და მოქნილობა ინტერვიუს წარმართვისას;
- **წარმართვა:** ინტერვიუს დროს იმის ცოდნა თუ რისი გარკვევა სურს;
- **კრიტიკულობა:** მზადყოფნა განსჯისა და მსჯელობისთვის, მაგალითად, მომხსენებლების ან რესპონდენტების პასუხებში შეუსაბამობების განხილვა;
- **დამახსოვრება:** ინტერვიუს პროცესში რესპონდენტისგან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და შესაბამის კონტექსტთან დაკავშირება;
- **განმარტება**: ინტერვიუერების მოსაზრებების დაზუსტება და განვრცობა მათი ინტერპრეტირების გარეშე;
- **დაბალანსება:** ზომიერება საუბრისას, რათა ინტერვიუერი არ იყოს პასიური, ინტერვიუს რეგულირება, იმისთვის რომ ინტერვიუერი არ გასცდეს განსახილველ საკითხს;
- **კორექტულობა:** გამოკითხვის ეთიკური მხარისა და კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვა.

4. III ფაზა - მასპინძელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის უკუკავშირის მიწოდება

მე-3 ფაზის ძირითადი მიზანია მასპინძელი დაწესებულებისთვის თანამშრომლობითი უკუკავშირის მიწოდება და საერთო დასკვნამდე მისვლა. აღნიშნულ ფაზაში მოდერირებულ დასკვნით სესიაზე თანასწორი კოლეგები მასპინძელ დაწესებულებას აწვდიან შესაბამის უკუკავშირს ვიზიტის საგნად განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის თემაზე. მასპინძელი დაწესებულების გადაწყვეტილებისამებრ, თანასწორი კოლეგები ინდივიდუალურად ან ჯგუფის სახელით წარმოადგენენ საკუთარ უკუკავშირს. პროცესს მოდერაციას უწევს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

4.1. თანამშრომლობითი უკუკავშირის სახეები

თანამშრომლობითი ვიზიტის პროცედურა გვთავაზობს თანამშრომლობითი უკუკავშირის ორ განსხვავებულ ფორმას: ცალკეული თანასწორი კოლეგის უკუკავშირი და ერთობლივი

თანამშრომლობითი უკუკავშირი. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება მასპინძელმა დაწესებულებამ უნდა მიიღოს 1-ელ ფაზაში (თანამშრომლობითი ვიზიტის მომზადება). ცალკეული თანასწორი კოლეგის ინდივიდუალური უკუკავშირის მეშვეობით, მასპინძელი დაწესებულება იღებს უკუკავშირს ცალკეული კოლეგებისგან. ერთობლივი თანამშრომლობითი უკუკავშირის მეშვეობით, მასპინძელი დაწესებულება იღებს ერთ ერთობლივ უკუკავშირს, ჯგუფის სახლით, რომელიც მოიცავს საერთო დასკვნებს მთლიანი თანამშრომლობითი ჯგუფისგან, რომლებზეც მოსამზადებელი შეხვედრისას შეთანხმდნენ.

4.2. უკუკავშირის დასკვნითი სესიის საფუძვლები და მოდერაცია

უკუკავშირის დასკვნით სესიას, უნდა გაუძღვეს მოდერატორი. რამდენადაც მოცემულ სესიაზე წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები, უკუკავშირის პროცესს მოდერაციას უწევს ცენტრი. სესია მიზნად ისახავს თანასწორ კოლეგებსა და მასპინძელ დაწესებულებას შორის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას თანამშრომლობითი ვიზიტისთვის განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის შერჩეული მექანიზმების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია საკითხებისა და კონტექსტების დაზუსტება, წარმოდგენილი ფაქტებისა და შეკითხვების შესახებ შეიძლება დამატებითი განმარტებების მიწოდება. მასპინძელი დაწესებულების სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში, ცენტრი უზრუნველყოფს, თანამშრომლობითი ვიზიტის ერთიანი ანგარიშის საჯაროობას ოფიციალურ ვებ- გვერდზე: eqe.ge.

4.3. ანალიტიკური და კონსტრუქციული თანამშრომლობითი უკუკავშირის მახასიათებლები

როდესაც საქმე ეხება მასპინძელი დაწესებულებისთვის უკუკავშირის მიწოდებას, ორივე შემთხვევაში (ცალკეული ან ერთობლივი თანამშრომლობითი უკუკავშირი), თანასწორმა კოლეგებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ უნდა გამოავლინონ ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

გასაუმჯობესებელი და ძლიერი მხარები უნდა იყოს გაწონასწორებული. საჭიროების შემთხვევაში, თანასწორ კოლეგებს გაუმჯობესებისთვის შეუძლიათ წარმოადგინონ წინადადებები/რეკომენდაციები. უკუკავშირის შესახებ თანასწორი კოლეგების პრეზენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:

თანასწორი კოლეგების უკუკავშირი და დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მოცემულია თანამშრომლობითი ვიზიტის დროს თანასწორი კოლეგებისთვის მიწოდებულ დაწესებულების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და მონაცემებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თანასწორმა კოლეგებმა ძალისხმევა არ დაიშურონ მასპინძელი დაწესებულებისთვის ანალიტიკური, კონსტრუქციული და მასტიმულირებელი უკუკავშირის მისაწოდებლად.

ანალიტიკური და კონსტრუქციული უკუკავშირი:

- ხელს უწყობს მოსაზრებების გამოხატვას უკუკავშირის მიმწოდებელსა და მიმღებს შორის არსებული დიალოგის ფარგლებში;
- აღწერითია და არა შეფასებითი;
- კონკრეტულია და არა ზოგადი;
- მიმართულია იმ საკითხებზე, რომლების შეცვლაც მიმღებს შეუძლია;
- ითვალისწინებს როგორც უკუკავშირის მიმღების, ისე მისი მიმწოდებლის საჭიროებებს;
- მიმართულია მასპინძელი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებაზე და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულებას არ ავალდებულებს;
- მოიცავს ინფორმაციის გაზიარებას და არა რჩევის მიცემას;
- ითვალისწინებს ინფორმაციის იმ რაოდენობას, რომლის გამოყენებაც მიმღებს შეუძლია და არა იმ რაოდენობას, რომლის მიწოდებაც ვიზიტორს/დამკვირვებელს სურს;
- მოითხოვს მხარდამჭერ, კონფიდენციალურ ურთიერთობას, რომელიც ნდობაზე, გულწრფელობასა და გულისხმიერებაზეა აგებული.

უკუკავშირის დასკვნითი სესია აღნიშნავს მე-3 ფაზის დასრულებას (თანამშრომლობითი უკუკავშირი). მოცემული ფაზა აუცილებლად უნდა მოიცავდეს ზეპირი მსჯელობებს, რაც ემსახურება უკუკავშირის სრული გააზრებასა და ბუნდოვანი საკითხების დაზუსტებას.

5. IV ფაზა - შემდგომი ღონისძიებები: უკუკავშირზე დაფუძნებით გაუმჯობესების ნაბიჯების განხილვა

თანამშრომლობითი ვიზიტის პროცედურის დასკვნით ფაზაში, უნდა განისაზღვროს როგორ გამოიყენებს დაწესებულება მიღებულ უკუკავშირს. ამ პროცესში ურთიერთსწავლების ერთ-ერთი მთავარი სარგებელი არის ის, რომ თანასწორ კოლეგებს ასევე აძლევს მოტივაციას მოიფიქრონ, შეუძლიათ თუ არა უკუკავშირის ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციების გაზიარება/დანერგვა საკუთარ დაწესებულებაში.

პროცესის შემდგომი ღონისძიებები ორი ნაწილისგან შედგება: თანამშრომლობითი უკუკავშირის ანალიზი და გაზიარება.

თანამშრომლობითი ვიზიტები მნიშვნელოვანია და დახარჯული დრო, გაღებული ძალისხმევა და ინვესტირებული რესურსები ღირებულია, თუ გაუმჯობესებაზე მუშაობის დროს, მასპინძელი დაწესებულება გააანალიზებს და გაითვალისწინებს ხარისხის კონტროლის მექანიზმების შესახებ თანამშრომლობით უკუკავშირს. პირველ ეტაპზე, მასპინძელი დაწესებულება აანალიზებს და განიხილავს თანამშრომლობითი უკუკავშირს.

6. მე-5 ფაზა - თანამშრომლობითი ვიზიტის უკუკავშირის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების დანერგვა და პროცესის მონიტორინგი

უკუკავშირის ეტაპზე მიღებული რეკომენდაციების შესრულება ნებაყოფლობითია. დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულების შემთხვევაში მნიშვნელოვანია პროცესი დაიგეგმოს და განხორციელდეს ხარისხის ციკლის (დემინგის ციკლი) საფუძველზე. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინების შემდგომ მიზანშეწონილია დაწესებულებამ ფიზიკური ან ონლაინ შეხვედრის ფორმატში ან წერილობითი ანგარიშით აცნობოს თანასწორ კოლეგებს რა ღონისძიებები გატარდა დაწესებულებაში მათ მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის საფუძველზე, როგორ იმუშავა ცვლილებებმა, რამდენად გაუმჯობესდა პროცესი და საჭიროებისამებრ მიეთითოს რა გამოწვევები გამოიკვეთა პროცესში.

6.1. გაუმჯობესების პროცესის დანერგვა

თანამშრომლობითი ვიზიტისას მიღებული უკუკავშირის ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციები და გაუმჯობესების პროცედურები გულმოდგინედ და ეფექტურად უნდა დაინერგოს. დანერგვის ფაზის შემდეგ, გაუმჯობესების ახლად შემოღებულმა ხერხებმა ხელახლა უნდა გაიაროს უკუკავშირისა და შეფასების პროცედურები. დასასრულს, უნდა დაწესდეს უკუკავშირზე და შეფასებაზე დაფუძნებული გაუმჯობესების ხერხები: ხარისხის უზრუნველყოფის ციკლზე (დაგეგმე, შეასრულე, შეამოწმე, იმოქმედე) დაფუძნებული სისტემატური პროცედურა.

6.2. „დაგეგმე“ - გაუმჯობესების პროცესის დაგეგმვა

გაუმჯობესების პროცესის დანერგვა ისევე საჭიროებს გულმოდგინედ დაგეგმვას და საჭიროებისამებრ, როგორც მტკიცებულებების წყაროს, შესაბამისი თანამშრომლობითი უკუკავშირის გათვალისწინებას. შესაბამისად, გაუმჯობესების პროცესის დაგეგმვაში მასპინძელი დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად, ჩართულნი უნდა იყვნენ თანამშრომლობითი ვიზიტის მონაწილეებიც. დაგეგმვის პროცესი რეკომენდებულია წარიმართოს **SMART** ანაილიზის მეშვეობით: (**S**pecific – კონკრეტული; **M**easurable – გაზომვადი; **A**chievable – მიღწევადი; **R**elevant – რელევანტური, შესაბამისი; **T**imely – დროში გაწერილი). თუკი მხოლოდ მაჩვენებლების საფუძველზე ვერ მოხდება მიზნების მიღწევის შეფასება, მაშინ განვითარების გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს შეფასების სხვა საშუალებები.

6.3. „განახორციელე“ – განხორციელების პროცესების დანერგვა

განხორციელების ფაზაში, განვითარების გეგმაზე დაფუძნებული მექანიზმები ეფექტურად პროექტის მართვის ინსტრუმენტების დახმარებით უნდა დაინერგოს. შესაძლებელია, რომ დანერგვის დროს მოხდეს სამოქმედო გეგმების გადახედვა და ადაპტაცია, რადგან ამასობაში შეიძლება გარკვეული გარემოებები შეიცვალოს, ან შესაძლებელია, რომ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში არ იყოს გათვალისწინებული გავლენის მქონე ყველა შესაბამისი ფაქტორი. ასევე, შესაძლებელია საჭირო გახდეს გრაფიკის შეცვლა. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია აუცილებელი გახდეს განვითარების გეგმებში მოცემული მიზნების შეცვლა, მაგ: მარეგულირებელ და პოლიტიკურ ჩარჩოებში შეტანილი ცვლილებების გამო.

6.4. „შეაფასე“ - გაუმჯობესების პროცესების მონიტორინგი და შეფასება

შეფასების ფაზაში, თანამშრომლობითი ვიზიტის მასპინძელ და ვიზიტორ დაწესებულებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესების გეგმის შემუშავებასა და დანერგვაზე, ევალებათ განიხილონ, მიღწეულია თუ არა განსაზღვრული მიზნები და წარმატებით დაინერგა თუ არა გაუმჯობესების ახალი მექანიზმები, ასევე, რამდენად ეფექტურია ისინი. ბევრ შემთხვევებში, მაჩვენებლების მიხედვით მონიტორინგი შესაძლებელია არ იყოს საკმარისი, რადგან აუცილებელია დამატებითი ინფორმაცია იმის შესაფასებლად, წარმატებული იყო თუ არა გაუმჯობესების პროცესები. შეფასების შედეგები, შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელია პრაქტიკის ცვლილების საფუძველი გახდეს.

6.5. „გადახედე“ - შეფასებასა და უკუკავშირზე დამყარებული გაუმჯობესება

„ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის“ დასასრულებლად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესების შედეგად მიღებული მონაცემები და ინფორმაცია გულმოდგინედ უნდა იყოს გაანალიზებული და დოკუმენტირებული და საჭიროებისამებრ გაზიარებულ უნდა იქნეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ანალიზის შედეგებს გეგმის შემდეგი ფაზის მომზადებასთან მივყავართ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი“ იწყებს ხელახალი, მასტიმულირებელი გაუმჯობესების უწყვეტ და სისტემურ დანერგვას.

გამოყენებული ლიტერატურა

ARQA-VET Austrian Reference Point for Quality Assurance in VET, Agency for Vocational Education and Training and Adult Education (ASOO), The Estonian Quality Agency for Higher and Vocational Education (EKKA), Finnish National Agency for Education (EDUFI),. *European Peer Review Quality Areas and Criteria for Vocational Education and Training (VET)*. Digital publication. EQAVET - European Quality Assurance in Vocational Education and Training National Reference Points (NRP), https://www.oph.fi/sites/default/files/documents/A5%20a7%29%20European_Peer_Review_QA_and_Criteria_for_VET_web.pdf . PDF.

EQAVET. *Methodological proposal for the EQAVET Network's approach to system level Peer Reviews Date: 18 March 2021 (2nd Draft)*. 2nd (Draft) ed., EQAVET, 2021, https://ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=23903&langId=en . Accessed 10 May 2023.

European Training Foundation (ETF). *ETF Forum for Quality Assurance in Vocational Education and Training Per Visit Guidance and Training Manual Summary Version*. ETF. *The European Training Foundation (ETF)*, https://www.etf.europa.eu/sites/default/files/2019-10/peer_visit_manual_summary_version_final_0.pdf . Accessed 2 May 2023.

Gramlinger, Franz. *EER REVIEW in Austrian VET Schools –10 years of experiences (2007-2016)*. ETF Webinar presentation. 16 November 2020, p. 17. PPT file.

Gutknecht-Gmeiner, Maria, editor. *European Peer Review Manual for VET*. Vienna. *Peer Review European Network*, http://www.peer-review-network.eu/media/pdf/Manual/Peer_Review_European_P_R_Manual_EN_08.pdf . Accessed 10 May 2023.

დანართები

დანართი N1 განაცხადის ფორმა თანამშრომლობითი ვიზიტის მასპინძელი დაწესებულების სტატუსის მოპოვებისთვის

განაცხადის ფორმა თანამშრომლობითი ვიზიტის მასპინძელი დაწესებულების სტატუსის მოპოვების მსურველი დაწესებულებისთვის

დაწესებულების სრული სახელწოდება **მისამართი:** **ტელეფონი:** **ელ. ფოსტა:**
თანამშრომლობითი ვიზიტის სფერო/თემა: *(მაგ.: სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები)* *გაითვალისწინეთ, რომ ვიზიტისთვის განსაზღვრული საკითხი უნდა შეესაბამებოდეს თანამშრომლობითი ვიზიტების თემების შერჩევის მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ. გვერდის მეშვეობით გამართული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ თანამშრომლობითი ვიზიტის თემას და აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით თქვენი დაწესებულების მიერ დაკონკრეტებულ საკითხებზე/ კითხვებზე ამომწურავი უკუკავშირის მიღება შესაძლებელი უნდა იყოს ვიზიტისთვის განსაზღვრულ ვადაში.*
დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების ბმული და/ან ჩამონათვალი
იმ შემთხვევაში თუ ვიზიტის საკითხთან დაკავშირებულ ან თქვენი დაწესებულების სხვა მნიშვნელოვან შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს წარმოადგენთ თანდართულ ფაილებად, გთხოვთ, აღნიშნულ ველში ასახოთ დოკუმენტის დასახელება და წინამდებარე ფორმასთან ერთად წარმოადგინოთ დანართის სახით. *(მაგ.: დანართი N1 - კოლეჯის წესდება....)ან მიგვითითოთ შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების (აქტიური) ბმულები.*
მონიშნეთ რა ფორმით გსურთ უკუკავშირის მიღება თანასწორი კოლეგებისგან

	ინდივიდუალურად	**ჯგუფის სახელით**	

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

მიუთითეთ მოკლე განმარტება აღნიშნული თემასთან დაკავშირებით თქვენი დაწესებულების გამოცდილების/საუკეთესო პრაქტიკის/ გამოწვევების შესახებ.

თანასწორი კოლეგებისთვის განკუთვნილი საკითხები/შეკითხვები
1.
2.
3.

იდეები/მოსაზრებები თანამშრომლობითი ვიზიტის შემდეგ მიღებული უკუკავშირის გამოყენების შესახებ

დაწესებულების დასახელება

მასპინძელი დაწესებულების ხელმძღვანელის

სახელი, გვარი, დაკავებული პოზიცია

ხელმოწერა

დანართი N2 თანამშრომლობითი ვიზიტის განრიგის ფორმა

დღის წესრიგი

თანამშრომლობითი ვიზიტი ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით

ქალაქი, საქართველო

დღე/თვე/წელი

ზოგადი ინფორმაცია

თანამშრომლობითი ვიზიტი ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით დაგეგმილია სსიპ - კოლეჯ "X", (მიუთითეთ თარიღი - დღე/თვე/წელი).

თანამშრომლობითი ვიზიტს ურთიერთშეფასებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით ორგანიზებასა და მხარდაჭერას უწევს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი „პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერის ქვეპროგრამის" ფარგლებში.

მასპინძელი დაწესებულების მხრიდან ჩართული პირები

(სახელი, გვარი, დაწესებულებაში დაკავებული პოზიცია)

1. ----------
2. ----------
3. ----------

ვიზიტის განრიგი დღეების მიხედვით

I დღე

თარიღი/დრო	**თემა/აქტივობა**
II დღე	

ინფორმაცია თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილე კოლეჯებისა და ჩართული პირების შესახებ

დაწესებულება	**პოზიცია**	**სახელი და გვარი**	**საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა და ტელეფონის ნომერი)**

დანართი N3 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის დასტურის ფორმა

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის დასტურის ფორმა

შევსების თარიღი დღე/თვე/წელი	ვიზიტორი დაწესებულების სრული სახელწოდება	თანამშრომლობითი ვიზიტის მასპინძელი დაწესებულების დასახელება

თანამშრომლობითი ვიზიტის თემატიკა (მასპინძელი დაწესებულების მიერ, ვიზიტისთვის განსაზღვრულ თემასთან დაკავშირებული საკითხების ან კითხვების შესახებ თქვენი გამოცდილება/ საუკეთესო პრაქტიკა/რეკომენდაციები/მოსაზრებები
საკითხი 1. ...
საკითხი 2. ...

თანამშრომლობითი ვიზიტისთვის წარმოდგენილი კანდიდატი/კანდიდატები				
N	სახელი, გვარი	ტელეფონი	ელ. ფოსტა	დაწესებულებაში დაკავებული პოზიცია

1.				
2.				

თანამშრომლობითი ვიზიტის თემაზე წარმოდგენილ საკითხთან/თემასთან დაკავშირებით, ვიზიტორი დაწესებულების გამოცდილება ან/და დამატებით, შესაძლებლობის შემთხვევაში ვიზიტორი დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შესწავლილი საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, მაგალითის მოკლე აღწერით (მიუთითეთ შესაბამისი დაწესებულებების დასახელება და ბმულები).

მოკლედ აღწერეთ თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილეობის მოლოდინები

ვიზიტორი დაწესებულების დასახელება

დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი, გვარი, დაკავებული პოზიცია

ხელმოწერა

.

დანართი N4 უკუკავშირის ფორმა

თანამშრომლობითი ვიზიტის უკუკავშირის ფორმა

მასპინძელი დაწესებულების დასახელება

ვიზიტის თემატიკა

ვიზიტის გამართვის თარიღები.

საკითხი/კითხვა 1: --------?

დაწესებულების ძლიერი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)	მტკიცებულება
დაწესებულების გასაუმჯობესებელი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)	**მტკიცებულება**
იდეები და წინადადებები გაუმჯობესებისათვის	

საკითხი/კითხვა 2: --------?

დაწესებულების ძლიერი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)	მტკიცებულება

დაწესებულების გასაუმჯობესებელი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)	**მტკიცებულება**
იდეები და წინადადებები გაუმჯობესებისათვის	

საკითხი/კითხვა 3: ----------?

დაწესებულების ძლიერი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)	**მტკიცებულება**
დაწესებულების გასაუმჯობესებელი მხარე (დაასახელეთ მაქსიმუმ 2)	**მტკიცებულება**
იდეები და წინადადებები გაუმჯობესებისათვის	

შენიშვნა:

ჯგუფური უკუკავშირის შემთხვევაში მიზანშეწონილია მიეთითოს თანამშრომლობით ვიზიტში მონაწილე ყველა ვიზიტორი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელების მითითებით.

ინდივიდუალური უკუკავშირის შემთხვევაში უნდა მიეთითოს უკუკავშირის წარმდგენი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება.

სახელი, გვარი	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	დაწესებულებაში დაკავებული პოზიცია	ხელმოწერა